პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ORGAN ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 ხუთშაბათი 8 სექტემბერი № 210 (16950) ფასი 2 კაპ. 1977

ლენინური მეგობრობის ძალა

მსოლოდ ორიოდე კვირაა, მოსკოვში, საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე საქართველოს სსრ დღეები, რომ დამთავრდა. რაც დრო გადის, ამ დღეების დიდი მნიშვნელობა სულ უფრო ნათელი და აშკარა ხდება.

საბჭოთა საქართველოს წარგზავნილებთან ერთ-ერთი შეხვედრის დროს პარტიის მოსკოვის ძირითადის რაიონის პირველი მდივანი ნ. კომაროვი, სტუმრებს რომ მომართავდა, ამბობდა — „ტრადიციად დაგვიკვიდრდა, რომ ჩვენი ცხოვრების დიდი მოვლენების წინ ერთმანეთს ვაბარებთ ხოლმე ანგარიშს. დღეს ძერჟინსკის რაიონი დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ნათელი დღესასწაულის წინ ანგარიშს გაბარებთ თქვენ, ჩვენს ძმებს. რაიონის მშრომელებს დიდი წვლილი შეაქვთ იმ ამოცანების შესრულებაში, რომლებიც სკკპ ისტორიულმა XXV ყრილობამ დაგვისახა. ვფიქრობ, ქართველი ძმებიც იზიარებენ ჩვენს სიხარულს მიღწეული წარმატებების გამო, ვინაიდან ჩვენ ერთი მიზანი გვაქვს და სწადია უნდა ვცხოვროთ დიდი, მოსკოვში თუ საქართველოში, ყველანი საერთო საქმეს, დიდი ლენინის საქმეს ვემსახურებით“.

სწორედ ერთიანი მიზნით და საერთო საქმით ხაბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხთან ქართველი ხალხის ურღვევი შეკავშირების ახალი დემონსტრაცია იყო საქართველოს სსრ დღეები მოსკოვში.

ახლა უკვე შეგვიძლია გონების თვალით გადავხედოთ ამ დღეებს, ანალიზი გავუკეთოთ უკვე მომხდარსა და გაკეთებულს, შევაფასოთ მათი მნიშვნელობა და შედეგებიც შევაჯამოთ. დღეების პროგრამა უაღრესად რაციონალურად იყო მოფიქრებული და შედგენილი, რამაც საშუალება მოგვცა რამდენიმე დღის მანძილზე მოსკოველებისათვის და დედაქალაქის მრავალრიცხოვანი სტუმრებისათვის გაგვეცნო საბჭოთა საქართველოს მიერ 60 წლის მანძილზე განვლილი გზა, ჩვენი ხალხის მიღწევები და წარმატებები სახალხო მეურნეობის, შეცნიერებისა და კულტურის დარგებში.

მოსკოველები დიდი ინტერესით და გულისყურით ათვალიერებდნენ საიუბილეო ექსპოზიციას საქართველოს სსრ პავილიონში.

დიდი ინტერესი გამოიწვია პრეს-კონფერენციამ გამოფენის ცენტრალურ კონფერენცდარბაზში, ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერების, სახალხო მეურნეობის სპეციალისტთა, კულტურის მოღვაწეთა საუბრებმა საბჭოთა საქართველოს შესახებ გამოფენის სხვადასხვა პავილიონში, ქართული ხელოვნების ოსტატთა კონცერტებმა, კინოფესტივალი „ქართული ფილმის“ ნაწარმოებთა საიუბილეო ჩვენებაფესტივალმა დედაქალაქის კინოეკრანებზე; ფრიად საქმიანი, სახალგებლო, გულთბადი და მეგობრული ხასიათისა იყო შეხვედრები და მიღებანი ნოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომში, სსრ კავშირის რეგოლუციის ცენტრალურ მუზეუმში, პარტიის მოსკოვის ძირეულისკისა და ბაბუშკინის რაიკომებში, დიდი საზეიმო საღამო გამოფენაზე, შეხვედრები და საუბრები დედაქალაქის მოწინავე სამრეწველო საწარმოებში და სხვ. მილიონობით საბჭოთა ადამიანმა ცენტრალური ტელევიზიით და საკავშირო რადიოთი ნახა და მოისმინა შინაარსიანი გადაცემა „საქართველო — ერთიან ოჯახში“.

ხატოვნად თუ ვიტყვით, მოსკოვში — ლენინური ეროვნული პოლიტიკით შეკავშირებული მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქის ქუჩებში საბჭოთა საქართველო დაბრუნდა და თავისი გულის სითბოს უნაწილებდა მრავალრიცხოვან ძმებსა და მეგობრებს, სანაცვლოდ კი მათი გულის სითბოს, ხიუვარულს და უანგარო მადლობის გრძნობას იმკიდა.

ამ დღეების განმავლობაში, — აღინიშნა სსრკ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის კონფერენცდარბაზში გამართულ საზეიმო საღამოზე, — მთელი სულით და გულით ვგრძნობდით, რომ ჩვენი კეთილი საქმეებისა და მისწრაფებების მაღალი შეფასების ყოველი ხიტყვის მიღმა ჩანს არა მარტო მოსკოველთა, არამედ ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის ძმური სიყვარული, გულისა და სულის მგზნებარება. ასეთმა მეგობრულმა დამოკიდებულებამ შესაძლებლობა მოგვცა კიდევ ერთხელ განგვეცდა საერთო-ეროვნული ხიბლაყის მაღალი გრძნობა, ხალხთა ერთიანობის დიადი გრძნობა.

სკკპ XXV ყრილობაზე, პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, სსრ კავშირის შექმნის 50-ე და ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 30-ე წლისთავის დღესასწაულებზე რომ ლაპარაკობდა, აღნიშნავდა: „ბანგლილი ნახევარი საუკუნის შრომის მიღწევებში, დიდი სამამულო ომის საბრძოლო საგმირო საქმეებში შეეძინა და გამოიწრთო ჩვენი ქვეყნის ყველა კლასისა და სოციალური ჯგუფის, ერისა და ეროვნების უღრეკი მებრძოლი. და ყველა ამ ბოლოთა ადამიანის ეს ერთობა, ეს შეკავშირება, დიადი საშოგლოსადმი მათი ერთგულება, ხალხთა ინტერნაციონალისტური ძმობა გადაიქცა განვლილ იუბილეთა ლეიტმოტივად“.

ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ხალხთა ლენინური მეგობრობა, საბჭოთა ადამიანების ერთობა-შეკავშირება და ურთიერთთანამშრომლობა მთელი ჩვენი ცხოვრების ლეიტმოტივი და მამოძრავებელი ძალაა. ამიტომაც არის, რომ პარტია მუდამ უთმობდა და უთმობს უდიდეს უურადღებას მთელი საბჭოთა ხალხის ეროვნული და ინტერნაციონალისტურ ინტერესების ჰარმონიულ შეხამებას. ლენინური ეროვნული პოლიტიკის და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების უაღრესად ნათელი გამოვლინება იყო თუნდაც ის, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მარტო ამ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს შესახებ სამი დადგენილება მიიღო, რომლებსაც ისტორიული მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკის საბჭოთა ცხოვრებისათვის. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ შობლიური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროსა და აბრადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მუდმივმა უურადღებამ და ამამრბივმა ზრუნვამ საბჭოთა საქართველოს შემდგომი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარებისათვის, ჩვენი რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა მშრომელი ახალგაზრდობა ახალ წარმატებათა საბრძოლველად შთაგონა და დარაზმა. ამ ბრძოლამ თავისი დადებითი შედეგი უკვე გამოიღო სახალხო მეურნეობისა თუ მეცნიერება-კულტურის განვითარების ყოველ დარგში, რაც ნათლად გამოჩნდა კიდეც მოსკოვში საქართველოს სსრ დღეების დროსაც.

აქ განსაკუთრებით საგულისხმო და არსებითია მეორე მხარე, უფრო სწორად, თვით მასპინძელთა — მოსკოველთა დამოკიდებულება საქართველოს სსრ დღეებისადმი. ყველანაგ გამორჩეულად გვრძნობდა მათი გულითადობა, გულწრფელობა, დიდი უურადღება ჩვენი ხალხისადმი, ჩვენი რესპუბლიკისადმი, ყოველივე იმისადმი, რასაც ამ დღეებში საქართველო საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქში აჩვენებდა და წარმოადგენდა. ყოველივე ამით კი გამოიხატა მოსკოველთა მხარდაჭერა, დაინტერესება და სიხარული იმ განსაკუთრებული წარმატებებისადმი, რასაც მშრომელმა საქართველომ მიაღწია ამ ბოლო ხუთი წლის — წარსულის ჩამორჩენათა დაძლევისა და ახალი სიმაღლეთა აღების წლების მანძილზე.

მოსკოვური შეხვედრები, საქართველოს წარმომადგენელთა მრავალრიცხოვანი დელეგაციის სტუმრობა დედაქალაქში სახარგებლო და მნიშვნელოვანი იყო იმიტომაც, რომ სახალხო მეურნეობის გამოფენის პავილიონებში ისინი გაეცნენ მომმე-მოკავშირე რესპუბლიკების წარმატებებსა და გამოცდილებას, დედაქალაქის წარმოებებისა და მეცნიერების ურთიერთკავშირის ახალ ფორმებს, კულტურული ცხოვრების მრავალფეროვნებას.

ამჟამად, როცა მთელი ჩვენი ხალხი უაღრესად აქტიურად, გულისყურით, საქმიანად განიხილავს სსრ კავშირის კონსტიტუციის ახალი პროექტს და დიდი ოქტომბრის სოციალიტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახვედრად ემზადება, მოსკოვში საქართველოს სსრ დღეები რესპუბლიკის შრომელებისათვის ახალი მძლავრი სტიმული იქნება საიუბილეო წელს ხუთწლედის მეორე წლის მაღალ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების გზაზე. არ დავკერპდეთ მიღწეულს, განვამტკიცოთ და ვამრავლოთ მონაპოვარი, ხალხის კეთილდღეობისათვის კომუნისტური პარტიის ზრუნვას ვუპასუხოთ ერთგულებით, საერთო-სახალხო საქმისათვის თავდადებით და ახალი შრომითი გამარჯვებებით. ახლი საქართველოს სსრ დღეების შედეგები და ამოცანები ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებისათვის. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ისინი თავიანთი საქმით კვლავაც გამოიჩენენ თავს.

საბჭოთა საქართველოს საოქტომბრო მაჯისცემა

როგორ სრულდება საიუბილეო ვალდებულებები?

არის 9 თვის დავალება!

ბიათურა. (საკ. კორ.). მანგანუმის მადნის მოპოვების ღია კაერიერი, რომელსაც ს. საყვარელიძე თაეკა

ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაოსახალხო განხილვა

კეთილდღეობისა და პროგრესის გარანტია

რეალური ჰუმანიზმი და უფლება-მოვალეობათა დიალექტიკა

ჩვენი ქვეყნის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. პრესაში უკვე გამოქვეყნდა ცნობა, რომ მალე შეიკრიბება უმაღლესი საბჭო კონსტიტუციის პროექტის მისაღებად. მთელი მსოფლიო მოწმე გახდა იმისა, თუ რა საყოველთაო, სახალხო და საქმიანი, შემოქმედებითი ხასიათი მიეცა კონსტიტუციის პროექტის განხილვას.

არაერთი საყურადღებო შენიშვნა და გონივრული წინადადება გამოითქვა უკვე მშრომელების მიერ. მრავალი სხვადასხვა დარგობრივი, თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით შეფასდა კონსტიტუციის პროექტი და არსებითად მოლიანად და სავსებით იქნა მოწონებული.

მშრომელთა შენიშვნებისა და წინადადებების საერთო სულისკვეთება ის არის, რომ კიდევ უფრო ნათლად, სრულად და ზუსტად გამოიკვეთოს ის დიდი მიღწევები ეკონომიკის, პოლიტიკისა და კულტურის საფეხურებში, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მიღებიდან გასული 40 წლის განძილზე.

მშრომელთა წერილების აბსოლუტურ უმრავლესობაში გამოსჭვივის სურვილი — კიდევ უფრო ღრმად და ამომწურავად ჩამოყალიბდეს საბჭოთა ადამიანების რეალური უფლებები და მოვალეობები, მათი იდეალები, მიზნები და ინტერესები; კიდევ უფრო დასაბუთებულად და დამაჯერებლად ყოფილიყოს საბჭოური და, საერთოდ, სოციალისტური ცხოვრების წესის ყველა უპირატესობა კაპიტალისტურთან შედარებით.

ახალი საბჭოთა კონსტიტუციის პროექტის შესახებ ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრების მიერ გამოთქმულ მოსაზრებათა და გამოხმაურებათა მთავარი ლეიტმოტივი, როგორც მოსალოდნელი იყო, გახდა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების ინტერესები. თანამედროვე კაპიტალისტის ბედი, მისი კულტურისა და ცივილიზაციის პროგრესი ერთნაირი აუცილებლობით და განყურეველად არის დამოკიდებული მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებაზე, დემოკრატიის გაფართოებასა და გაღრმავებაზე, სოციალიზმის განვითარებასა და სრულქმნაზე.

ახალი კონსტიტუციის პროექტში სახელმწიფო მოღვაწეობის უმაღლეს პოლიტიკურ ფიალად გამოცხადებულია სწორედ მშვიდობა, დემოკრატია და სოციალიზმი. ამით ჩვენი კონსტიტუცია ქმნის ფართო დამაკავშირებელ ხიდს არა მარტო ჩვენი ქვეყნის წინა კონსტიტუციებთან, არამედ, ასევე თანამედროვე მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყნისა და სახელმწიფოს პროგრესულ ძალებთან თანამშრომლობისა და სოლიდარობისათვის.

ასეთი საერთაშორისო სოლიდარობისა და თანამშრომლობის საფუძველი ის არის, რომ მიუხედავად ყოველგვარი პრინციპული და ძირეული განსხვავებისა, ურთიერთდაპირისპირებული და შეურიგებელი იდეოლოგიის და პოლიტიკისა, მკვეთრად განსხვავებული სამართლისა, ეკონომიკის და კულტურისა, მიუხედავად ქვეყნებრივი, რასობრივი, რელიგიური, ეთნიკური თუ სხვა სახის სხვაობისა, ადამიანებს მაინც ბევრი რამ აქვთ საერთო და ყველაზე მთავარი მათ შორის ეს არის თვით ადამიანურობა, მოზრდილი არსებათა გვაროვნული ნათესაობა.

ჩვენი პლანეტის ბინადარი ადამიანები პრინციპულად ყველა ერთი მოდგმისა და ერთი ბიოლოგიური გვარისა არიან. რასობრივი და ენობრივი დიფერენციაცია, ეკონომიკური და პოლიტიკური მრავალფეროვნება ვერ სცილდება სოციალურ-კულტურულ და მორალურ-ესთეტიკურ სხვაობათა სფეროებს. ადამიანის ფსიქიკა კი ყველგან ერთიანი და საერთოა. ეს იმას ნიშნავს, რომ უმაღლესი და ფუნდამენტური ღირებულებები ყველა ადამიანს, ყველა პიროვნებას, ყველა მშრომელს ერთიანი და საერთო უნდა ჰქონდეს, უამისოდ წარმოუდგენელია ურთიერთგაგება და მშვიდობა დედამიწაზე, ისევე, როგორც წარმოუდგენელია სოლიდარობა და თანამშრომლობა სხვადასხვა ქვეყნის ადამიანებს შორის.

ადამიანთა ეს ძირეული ერთიანობა, რაც მომდინარეობს, უწინარეს ყოვლისა, მათი ფსიქოფიზიკური კონსტიტუციის ერთიანობიდან, თანდათან მაღლდება და ფართოვდება სოციალურ და კულტურულ ერთიანობამდე. ამის რეალური გამოხატულებაა ყველა ხალხის ერთნაირი ლტოლვა ისეთი უმაღლესი ღირებულებებისადმი, როგორიცაა ქვეშმარიტება, მშვენიერება, სიკეთე და სამართლიანობა, ხოლო ამ ღირებულებების შეუფერხებელი რეალიზაციის ოპტიმალური სახელმწიფოებრივი ფორმაა დემოკრატია.

საყოველთაო და უნივერსალური დემოკრატია არ შეიძლება არ მივიდეს სოციალიზმამდე და კომუნიზმამდე. რამდენადაც არ არსებობს უფრო რაციონალური და ოპტიმალური სტრუქტურა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და დემოკრატიისა, ვიდრე არის სოციალიზმი და კომუნიზმი. როგორც ბიოსფეროს კანონზომიერმა განვითარებამ მიგვიყვანა ადამიანისა და საზოგადოების წარმოშობამდე, ისე სოციოსფეროს კანონზომიერი განვითარება მიგვიყვანს კომუნიზმის გამარჯვებამდე. ეს ისეთივე ბუნებრივ-ისტორიული აუცილებლობაა, — გვასწავლის მარქსიზმი — როგორც „მზის ამოსვლა“ ან „მთვარის დაბნელება“ არის ბუნებრივი აუცილებლობა.

მარქსიზმმა ისიც ნათლად განმარტა, თუ რა განსხვავებაა ბუნებრივ-ისტორიული აუცილებლობასა და წმინდა ბუნებრივი აუცილებლობას შორის. ბუნება ადამიანის ჩარევის გარეშე მოქმედებდა (ყოველ შემთხვევაში, ჩვენს ეპოქამდე მაინც), ისტორია კი თვით ადამიანების მოღვაწეობას ქვია და მათი აქტიური ჩარევის გარეშე არ არსებობს ისტორიული აუცილებლობა. ადამიანის აქტიურობა გარანტირებულია მისი ცხოვრების პირობებით, ხასიათით და ფსიქოლოგიით. ადამიანურობა აქტიურობის უმაღლესი და უნიკალური ფორმაა, რასაც სოციალურობა ეწოდება. საზოგადოებისათვის ზრუნვა, სოციალურობა ქმნის პიროვნებას, მის ყველა ღირსებასა და სათნოებას. კონსტიტუცია სხვა არაფერია, თუ არა სოციალურობისა და პიროვნულობის ერთიანობისა და სინთეზის კანონთა კოდექსი.

ყოველი კონსტიტუციის საფუძველი, სამართლიანობა, ხოლო ამ ღირებულებების შეუფერხებელი რეალიზაციის ოპტიმალური სახელმწიფოებრივი ფორმა დემოკრატია.

საყოველთაო და უნივერსალური დემოკრატია არ შეიძლება არ მივიდეს სოციალიზმამდე და კომუნიზმამდე. რამდენადაც არ არსებობს უფრო რაციონალური და ოპტიმალური სტრუქტურა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და დემოკრატიისა, ვიდრე არის სოციალიზმი და კომუნიზმი. როგორც ბიოსფეროს კანონზომიერმა განვითარებამ მიგვიყვანა ადამიანისა და საზოგადოების წარმოშობამდე, ისე სოციოსფეროს კანონზომიერი განვითარება მიგვიყვანს კომუნიზმის გამარჯვებამდე. ეს ისეთივე ბუნებრივ-ისტორიული აუცილებლობაა, — გვასწავლის მარქსიზმი — როგორც „მზის ამოსვლა“ ან „მთვარის დაბნელება“ არის ბუნებრივი აუცილებლობა.

ბურჟუაზიული კონსტიტუციებისაგან განსხვავებით საბჭოთა კონსტიტუცია უმაღლეს ღირებულებად აღიარებს **არა სიმდიდრეს და ძალაუფლებას, არამედ ადამიანს და მის კეთილდღეობას. საბჭოთა კონსტიტუცია, ეყრდნობა რა სოციალიზმის მშენებლობის მდიდარ გამოცდილებას, განსაზღვრავს პიროვნების კეთილდღეობის აუცილებელ პირობებს. ამ პირობებს შორის მთავარია კოლექტიურობა, სოციალურობა, საერთო საქმის ერთგულება და საზოგადოებისათვის თავდადება.**

ბურჟუაზიული კონსტიტუციების ზოგჯერ გარეგნულად მომხიბვლელ, კეთილშობილური საფარველში არცთუ ძნელი შესამჩნევია ოფიციალურ რანგში აყვანილი ეგოიზმი, ინდივიდუალიზმი, ანგარება და ძალმომრეობა. ჩვენი კონსტიტუცია კი ფორმითაც და შინაარსითაც, გარეგნული სახით და შინაგანი სტრუქტურით ამკვიდრებს ეგოიზმის ნაცვლად ალტრუიზმს, ინდივიდუალიზმის ნაცვლად კოლექტივიზმს, ანგარების ნაცვლად უანგარობას, ძალმომრეობის ნაცვლად თანამშრომლობას.

საბჭოთა კონსტიტუცია აკანონებს მშრომელი ადამიანის სიტყვა, საქმიანი უნდა იყოს წინადადება, დასაბუთებული უნდა იყოს კრიტიკა. ამ სფეროში გარკვეული „ფილტრისა“ და კონტროლის გარეშე ინფორმაციის წყაროები ჩაიხერგებოდა უსარგებლო და ზედმეტი ინფორმაციის ბალასტით. საჭიროა მხოლოდ სულ უფრო მეტი გონივრულობა, კომპეტენტურობა და ინიციატივა თვით ამ „ფილტრისა“ და კონტროლის ფუნქციების მიზანშეწონილ რეალიზაციაში.

ყველას აქვს ბინის ფლობისა და მიწით სარგებლობის უფლება. ამის გარანტიაა საბინაო მშენებლობის სწრაფი ტემპი და მიწის ფართობების სიუხვე ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში. საჭირო იქნება მხოლოდ სათანადო ორგანოების მეტი ოპერატიულობა ამ კონსტიტუციური უფლებების სრული რეალიზაციის საქმეში.

ყველას აქვს არჩევნებში მოწილეობისა და ხელმძღვანელ ორგანოებში არჩევის უფლება. ამის გარანტიაა საარჩევნო კანონმდებლობა და არჩევნების დებულება, რომელიც მოითხოვს საყოველთაო, პირდაპირი და ფარული არჩევნების პრინციპების ხელშეუხებლობას. საჭიროა მხოლოდ მეტი პოლიტიკური აქტიურობა, გულწრფელობა და შეგნებულობა ამ უფლებების პენქტუალური და შეუზღუდველი ფაქტიური რეალიზაციისათვის. ეს არა მარტო ჩვენი უფლება, არამედ მოვალეობაც არის.

ყველას აქვს სიტყვის, ბეჭდვის, კრიტიკის უფლება. ამის გარანტიაა პრესის, გამომცემლობისა და ინფორმაციის სხვა წყაროთა ფართო შესაძლებლობები. ოღონდ მართალი უნდა იყოს. შენი სიტყვა, საქმიანი უნდა იყოს წინადადება, დასაბუთებული უნდა იყოს კრიტიკა. ამ სფეროში გარკვეული „ფილტრისა“ და კონტროლის გარეშე ინფორმაციის წყაროები ჩაიხერგებოდა უსარგებლო და ზედმეტი ინფორმაციის ბალასტით. საჭიროა მხოლოდ სულ უფრო მეტი გონივრულობა, კომპეტენტურობა და ინიციატივა თვით ამ „ფილტრისა“ და კონტროლის ფუნქციების მიზანშეწონილ რეალიზაციაში.

ყველას აქვს ბინის ფლობისა და მიწით სარგებლობის უფლება. ამის გარანტიაა საბინაო მშენებლობის სწრაფი ტემპი და მიწის ფართობების სიუხვე ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში. საჭირო იქნება მხოლოდ სათანადო ორგანოების მეტი ოპერატიულობა ამ კონსტიტუციური უფლებების სრული რეალიზაციის საქმეში.

ყველას აქვს სიტყვის, ბეჭდვის, კრიტიკის უფლება. ამის გარანტიაა პრესის, გამომცემლობისა და ინფორმაციის სხვა წყაროთა ფართო შესაძლებლობები. ოღონდ მართალი უნდა იყოს. შენი სიტყვა, საქმიანი უნდა იყოს წინადადება, დასაბუთებული უნდა იყოს კრიტიკა. ამ სფეროში გარკვეული „ფილტრისა“ და კონტროლის გარეშე ინფორმაციის წყაროები ჩაიხერგებოდა უსარგებლო და ზედმეტი ინფორმაციის ბალასტით. საჭიროა მხოლოდ სულ უფრო მეტი გონივრულობა, კომპეტენტურობა და ინიციატივა თვით ამ „ფილტრისა“ და კონტროლის ფუნქციების მიზანშეწონილ რეალიზაციაში.

ყველას აქვს შრომის უფლება და მოვალეობა — ამის გარანტიაა საბჭოთა ეკონომიკის გეგმაზომიერი, უკრიზისო, პროგრესული განვითარების კანონზომიერება. შეიძლება ზოგჯერ იქ არ აღმოჩნდეს სამუშაო, სადაც შენ გინდა, მაგრამ ასეთ შემთხვევებში შენი შეგნება გიკარნახებს იქ იმუშაო, სადაც სამშობლოს უფრო სჭირდება. სამშობლოს ინტერესების წინა რიგში დაყენება უმთავრესი და უმაღლესი პირველადი ინტერესია. ეს არის საბჭოთა პატრიოტიზმის კრძნობა, რომელიც უმთავრეს შემთხვევებში ადვილად იმორჩილებს ობივატელური კომფორტისა და მეშჩანური კეთილდღეობის ეგოისტურ მისწრაფებებს.

პიროვნულისა და საზოგადოებრივის ასეთი ჰარმონია იმთავითვე იგულისხმება შრომის უფლებისა და მოვალეობის დიალექტიკურ ერთიანობაში. საჭიროა მხოლოდ, ერთი მხრივ, დაუოლავი ზრუნვა პიროვნებათა მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და სოციალური პასუხისმგებლობის კრძნობის ჩანერგვისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, სულ უფრო მეტი გულისხმიერება და ჰუმანურობა პიროვნებათა ინდივიდუალური მისწრაფებებისა და შესაძლებლობების საზოგადოებრივ ინტერესებთან შეხამების საქმეში.

ყველას აქვს სწავლის უფლება და მოვალეობა. ამის გარანტიაა საყოველთაო საშუალო განათლება და უმაღლესი სასწავლებლები ფართო ქსელი. მართალია, ჯერჯერობით არ არის იმის შესაძლებლობა, რომ ყველა საშუალო სკოლადამთავრებული მოეწყოს უმაღლეს სასწავლებელში. აქ მოთხოვნილება ბევრად უსწრებს შესაძლებლობას. ამიტომ, სხვა გზა არ არის, თუ არა შერჩევითი კონკურსი და შრომითი დასაქმების წახალისება. აქაც საჭირო ხდება პიროვნული და საზოგადოებრივი ინტერესების შეხამება პროფესიული ორიენტაციისა და შრომითი მოწყობის სფეროში. ოღონდ საჭიროა იქნება სულ უფრო მეტი ზრუნვა სკოლაში შრომითი აღზრდის პრობლემის კარდინალური მოგვარებისა და უმაღლესში შესასვლელი კონკურსების გამარტივებისათვის, შემთხვევითი ფაქტორების გამორიცხვისა და ობიექტური კრიტერიუმების გაძლიერებისათვის.

ნაწილეობისა და ხელმძღვანელ ორგანოებში არჩევის უფლება. ამის გარანტიაა საარჩევნო კანონმდებლობა და არჩევნების დებულება, რომელიც მოითხოვს საყოველთაო, პირდაპირი და ფარული არჩევნების პრინციპების ხელშეუხებლობას. საჭიროა მხოლოდ მეტი პოლიტიკური აქტიურობა, გულწრფელობა და შეგნებულობა ამ უფლებების პენქტუალური და შეუზღუდველი ფაქტიური რეალიზაციისათვის. ეს არა მარტო ჩვენი უფლება, არამედ მოვალეობაც არის.

ახალი კონსტიტუციის პროექტში ლაპარაკია აგრეთვე სხვა უფლებებზე და მოვალეობებზე, რომლებიც ადამიანური ცხოვრების ყველა სფეროს ეხება და ეპოქის პოლიტიკურ იდეალთა შთამბეჭდავ ჰარმონიას ქმნის. ყველა ეს უფლება და მოვალეობა მოპოვებულია დიდი რევოლუციის, ზეადგილ, ომამდე 60-70 წლისთავის შესახვედრად ასეთი ენთუზიაზმით ემზადება საბჭოთა ხალხი.

ყველა ეს უფლება და მოვალეობა გამოიკვეთა და ჩამოყალიბდა საბჭოთა ხალხის მიერ ამ სამოცი წლის განძილზე ეკონომიკურ-ეროვნული ტიტანური შრომისა და ბრძოლის პროცესში, სოციალიზმისა და კომუნიზმის საფეხურებში. ამ მშენებლობის შემდგომი ბედი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი იქნება ყოველი საბჭოთა მოქალაქის შრომითი წვლილი საერთო საქმეში. როგორი იქნება ყოველი ჩვენთაგანის პოლიტიკური აქტიურობა, კანონიერებისა და წესრიგის დაცვაში. საერთო წარმატების უტყუარი გარანტია ისევ და ისევ მაღალი შეგნება და მტკიცე დისციპლინაა, რომლის დანერგვისათვის თავდადებით იბრძვის საქართველოს პარტიული ორგანიზაცია.

საამაყოა იმის შეგნება, რომ ჩვენი რესპუბლიკა ღირსეული წარმატებებით ეგებება სახელოვან ეიუბილეს. ნაკისრი 400 ათას ტონაზე მეტი ჩაი, 500 ათასი ტონა ყურძენი და სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი შრომითი ვალდებულება მარტო ნიკიერი და რაოდენობრივი ღირებულებას როდი ნიშნავს! ამ მატერიალური დოვლათისა და ნივთიერი ღირებულებების მიღმა ჩანს ჩვენი რესპუბლიკის შრომელთა მაღალი პოლიტიკური შეგნება და ორგანიზაციული ბეჯითობა. ამ წარმატებებში ჩანს ქართველი კაცის მოყოლილი მარჯვენის მადლი და ბარაქა, ხელსაყრელი გარემოსა და ალალი შრომის მთელი სიკეთე.

ჩვენი შემდგომი წინსვლა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გავზრდით შრომისნაყოფიერებას და როგორ დავზეიმთ და გავაუმჯობესებთ წესრიგსა და დისციპლინას. ამ საქმეში მნიშვნელოვან როლს ფისრულებს ახალი კონსტიტუციის მიღება. რომელიც ქმნის პირობებს ბეჯითი სწავლის, შემოქმედებითი შრომისა და შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის. სწორედ ეს სამი მთავარი ბერკეტი უზრუნველყოფს სოციალურ პროგრესს ჩვენს ქვეყანაში. საბჭოთა სახელმწიფოს და სოციალისტური ბანკის ძლიერებაზე კი ბევრად არის დამოკიდებული საერთოდ მთელი ცივილიზაციისა და კეთილდღეობის გადარჩენა მოახლოებული ეკოლოგიური, დემოკრატიული და მილიტარისტული საშიშროებისაგან.

მხოლოდ სოციალისტური ცხოვრების წესი, გეგმიანი, დემოკრატიული და ჰუმანური საზოგადოება შეძლებს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გამოყენებას ადამიანის სასარგებლოდ. დემოკრატიის სრულქმნა და კონსიერება-დისციპლინის განმტკიცება ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ის სტრატეგია და ტაქტიკაა, რომელსაც შეიძლია ოდენ, როგორც შინაგანი, ისე გარეგანი ძალების მობილიზება ჩვენს პლანეტაზე ადამიანის სასიცოცხლო პირობების გადარჩენის, შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მსოფლიო ომის საფრთხეს საამედოდ ეღობება წინ საბჭოთა სახელმწიფოსა და მთელი სოციალისტური ბანკის მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკა, მძლავრი ეკონომიკა და სამხედრო პოტენციალი. მაგრამ მსოფლიო ომზე ნაკლები საშიშროება **არ** არის ეკოლოგიური კრიზისი, ჰაერის, წყლისა და გარემოს გაჭუჭყიანება, რომლის შეჩერება და თავიდან აცილება არ შეიძლია კაპიტალისტურ საზოგადოებას. კერძო საკუთრებისა და მოგების ინტერესი აქ საბოლოო ანგარიშით ყოველთვის სძლევს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ჰუმანურ ინტერესებს. ამ უმთავრესი და გადაუდებელი პრობლემის მოგვარება შეიძლება მხოლოდ ჰუმანური საზოგადოების პირობებში. მხოლოდ სოციალიზმსა და კომუნიზმს შეუძლია იხსნას კაცობრიობა. ჯერ კიდევ მარქსი ამბობდა, რომ **კომუნიზმი — ეს არის რეალური ჰუმანიზმი.**

ახალი საბჭოთა კონსტიტუცია კომუნიზმის მშენებელი ხალხის კონსტიტუციაა. მისი რეალური უფლებებისა და აუცილებელი მოვალეობების დიადი ქარტიაა, რომლის ყოველი პუნქტი და დებულება თანამედროვე მსოფლიოს სოციალურად და მორალურ-პოლიტიკურად დაძაბულ ატმოსფეროში ყურს როგორც ადამიანური ღირსეული ცხოვრების იდეალთა ჰარმონია, რომლის რეალიზაციაზეა დამოკიდებული მთელი კაცობრიობის მომავალი.

პროფესორი

გელა განძელაძე.



საქმე თუ მეღვინეობა...

ერეკლე ბეგ-ალიევი

რაზე ფიქრობენ ძველი „მეღვინეები“

კაცის სოციოლოგიური ფიზიოლოგიური მოთხოვნილებანი ამოსუნთქვით იწყება, საწარმოსი — ეს პირველი პროდუქციით.

1968 წლის 20 ოქტომბერს, როცა მტკვრის ხეობაში, სოფელ ძეგვთან საშენ მასალათა კომბინატის ახალი დირექტორი დიმიტრი კობეშავიძე მოვიდა, გარშემო არაფერი არ იყო, გარდა ტრაილი მინდვრისა. მაგრამ იყვნენ კომუნისტები (როგორც დიმიტრი ამბობს — ლომივით ბიჭები), რომელთაც გადაწყვეტილი ჰქონდათ სწორედ ამ ჯაგნარში შეექმნათ სამშენებლო ინდუსტრიის ერთი ახალი ობიექტი — ბლოკის საამქრო. იცხო კაცს მათი გადაწყვეტილება უაზრობად მოეჩვენებოდა, რადგან მშენებლები, ხალხური თქმისა არ იყოს, ცივ ქვაზე უნდა დასახლებულიყვნენ, ჰქონდათ მხოლოდ ერთი ვიბროდაზგა. კომბინატის დირექტორი ნამდვილად უჯარო და უიარაღო გენერალს ჰგავდა. მაგრამ სულიერად მეტად ძლიერი კაცი გულს არ იტეხდა.

მცხეთის რაიონში არაერთი საწარმოა, რომლის მშენებლობას და ორგანიზაციას დიმიტრი კობეშავიძე ხელმძღვანელობდა. ახლა მრეწველობის ეს ობიექტები, რომლებიც შესანიშნავი შრომითი კოლექტივები აღიზარდნენ, ხალხისათვის საჭირო პროდუქციას ქმნიან.

რვა-ცხრა წლის წინათ ძეგვის საშენ მასალათა კომბინატის ბლოკის საამქრო, როგორც ჩვილი ბავშვი, გაუბედავად დგამდა პირველ ნაბიჯებს, დღე-ღამეში რაღაც 300-500 ბლოკს უშვებდა, მერე თანდათანობით ეს რიცხვი ათასამდე გაიზარდა. ბლოკს ამზადებდნენ და იმავე ბლოკით საამქროს აშენებდნენ, რომელსაც წელიწადში 10 ათასი კუბმეტრი ბლოკი უნდა გამოეშვა. შარშან ძეგველებმა შორს მოიტოვეს საამქროს სიმძლავრე და 20 ათასზე მეტი ბლოკი გამოუშვეს. ეს საპროექტო სიმძლავრეზე ორჯერ მეტია, მაგრამ შეუძლიათ კიდევ მეტი გაკეთონ, რადგან ტექნოლოგიური ხაზი მძლავრია. ვიწრო ადგილად რჩება მხოლოდ საშრობი, ეს ეხება ამასაც მოეკითხა — ეს ერთ მახლობლად „მთავარგაზი“ აშენებს მრეწველობის მიკრორაიონს, სადაც წელს უნდა გაუშვან საქვაბე. ასე რომ ბლოკის საამქროს შეუძლია იქიდან მიიღოს სასაჭირნლო ორთქლი: მაშინ, — ამბობს დირექტორი, — გადავალთ სამცვლიან მუშაობაზე. მიგაღწევთ სამუშაო დროის ეკონომიას, წელიწადში შეიძლებთ 50-60 ათასი კუბური მეტრი ბლოკის გამოშვებას.

სასიხარულო და საგულისხმოა, რომ კომბინატში ეშვიათად თუ იპოვნით ჩამორჩენილს. მის ოჭრის ფონდს შეადგენენ წარმოების მოწინავენი, გუშინდელი კოლმეურნეენი, თავისი საქმის მოყვარული ადამიანები, — ლამარა ილუანაშვილი, ანეტა ლულუაშვილი, მზია მურჯიანელი, სონია მარდიშვილი, ლიანა სულხანიშვილი, თამარ ქსოვრელი, ტარიელ სოლოყაშვილი, ასანა ერეკაშვილი. აბრამ პაპიაშვილი, ოსეთ ქიტუაშვილი, შოთა ჯანდელაკი, გრიშა ჯალაბაძე, ნუგზარ ანაკაცი, ავთანდილ რთველიაშვილი, სოლომონ სულხანიშვილი. მიხეილ დათაშვილი. ანზორ მაკარაშვილი, ალექსანდრე ელენიშვილი და სხვები.

კომბინატის დირექტორი დიმიტრი კობეშავიძე, რომელიც ძეგველები მთავარ „მრეწველად“ თვლიან, მომთხოვნი და სამართლიანი ხელმძღვანელია. ეი არამარტო წარმოების დღევანდელ ამოცანებზე ფიქრობს, არამედ მის პერსპექტივებზეც. მის გეფართოებაზეც, უკეთეს მომავალზეც.

ძეგველი „მრეწველები“ ამტკიცებენ, რომ ბლოკის წარმოება შეიძლება აიყვანონ წელიწადში 60-70 ათას კუბურ მეტრამდე, ეს ციფრს როდი ნიშნავს სამშენებლო ინდუსტრიისათვის, რომელიც ასე სწრაფად ვითარდება. ნაკვლად 7 ათასი ტონისა, შეიძლება გამოშვებულ იქნას 60 ათას ტონამდე კირი. არსებობს კირის გამოწვის გაფართოების პროექტი. დადგენილია, რომ აქვე არსებობს საკირე ქვის დიდი მარაგი. ეს, ამბობენ, ამოსუნთქვით იწყება, საწარმოსი — ეს პირველი პროდუქციით.

ეს ბიჭები ბევრ საინტერესო საკითხზე ფიქრობენ,

რევოლუციის რაინდი



ლენინური ტიპის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე

ᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲤᲠᲐᲒᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ

1925 წლის თებერვალში პოლონეთი კონტრრევოლუციონერების მიერ ორი ახალგაზრდა კომუნისტის დაღუპვის ამბავი რომ შეიტყო, ფ. ე. ძერჟინსკიმ 1925 წლის 6 მარტს კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტში პოლონეთის კომპარტიის წარმომადგენლობას ვაუგზავნა წერილი, რომელშიც წერდა: „რემდესის კამპანია უნდა გავაჩაღოთ პოლონეთის საპყრობილეებში შექმნილი პირობების წინააღმდეგ. ამსანაგებს, რომლებიც ამ ბოლო დროს გავცეცალეთ, აღმათ, შეეძლოთ მოეცათ მეტად მნიშვნელოვანი უტყუარი მასალა. სელი უნდა მოგიდოთ ამ საკითხს, შეაგროვოთ ეს მასალა. დაავალოთ ყველას დაწვრილებითი აღწერა, დაეხმაროთ მათ, თუ თვითონ ვერ შეძლებენ...“

ფ. ე. ძერჟინსკი ამ საკითხს კვლავ უბრუნდება პოლონეთის კომპარტიის წარმომადგენლობისადმი 1925 წლის 1 მაისის წერილში.

1925 წლის ივლისში დააპატიმრეს პოლონეთის კომპარტიის ვარშავის კომიტეტის აღმასკომის წევრი ვ. გიბნერი და პოლონეთის კომკავშირის ორი მოღვაწე — გ. რუტკოვსკი და ჯ. კნეკვსკი. მათ პარტიის განაჩენით უნდა მოეკლათ მის რიგებში შემძვრალი პროვოკატორი. ხელისუფლებმა დაამატიმრეს ისინი და სამხედროსაველე სასამართლოს ვადასცეს. როცა შეიტყო, რომ რევოლუციონერებს სიკვდილი მოელის, ფ. ე. ძერჟინსკიმ მიმართა სსრ კავშირში პოლონეთის წითელი ჯვრის წარმომადგენელს ე. პ. პეშკოვს და წინადადება მისცა ვარშავას გამგზავრებულიყო, რათა სასიკვდილო განაჩენი არ გამოტანათ. მაგრამ გიბნერის, რუტკოვსკისა და კნეკვსკის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ისინი ვარშავის ციხის გალავანთან დახვრიტეს.

პოლონეთის კომპარტია, რომელიც III ყრილობის ვადაწყვეტილებებს ახორციელებდა, საწარმოო უჯრედების საფუძველზე თავისი რიგების ორგანიზაციულ გარდაქმნას შეუდგა. კომინტერნის აღმასკომმა, რომელსაც სურდა დახმარებოდა პოლონეთის კომპარტიას შეცდომების დაძლევაში, 1925 წლის ივნისში შექმნა პოლონეთის კომისია. 4 ივლისს მის სხდომაზე კომისიასადი ფ. ძერჟინსკიმ მკაცრად გააკრიტიკა დომსკი და მისი მომხრეები. 1925 წლის 30 ივლისს კომინტერნის აღმასკომმა წარიღოთ მიმართა პოლონეთის კომპარტიას, აღენიშნა პარტიაში შექმნილი კრიზისი და დასახა მისი დაძლევის გზები.

ფელიქს ედმუნდის ძე საფუძველიანად სწავლობდა პოლონეთისა და მისი მშრომელების ეკონომიკურ მდგომარეობას. მაგალითად, 1924 წლის ნოემბერში ვ. კოსტშევა სტეფანია სემპოლოვსკაიასადი წერილში წერდა: „პან ოუზეფი გოსოვთ გამოუზავნოთ სტატისტიკური ყოველთვიურების კომპლექტები, „მესენნოე კრაკი“ („შრომის ყოველთვიური“), აგრეთვე „პშეგლენდა გოსპოდარჩეგოს“ („ეკონომიკური მიმოხილვის“) კომპლექტი“.

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის პოლონეთის კომისიის მომავალ მუშაობასთან დაკავშირებით 1925 წლის ნოემბერში ძერჟინსკიმ გამოიკვლია პოლონეთის საერთაშორისო ვითარების საკითხები, მისი ფინანსური მდგომარეობა, მუშათა კლასისა და გლეხობის მდგომარეობა. ამ მუშაობაში იგი ეყრდნობოდა მონაცემებს, რომლებიც ა. ვარსკისა და ი. ლენსკისგან მიიღო. სკპ (ბ) ლენინგრადის XXIII საგანგებო საგუბერნიო კონფერენციაზე წარმოთქმულ სიტყვაში 1926 წლის 11 თებერვალს ფელიქს ედმუნდის ძემ აღნიშნა პოლონელი პროლეტარიატისა და გლეხობის დუსტარი ეკონომიკური მდგომარეობა, რომელშიც ისინი მმართველი წრეების დანაშაულებრივმა პოლიტიკამ ჩაგდო.

1926 წლის 10 მაისს პოლონეთის ხელისუფლების სათავეში მოვიდა მთავრობა, რომელსაც მეთაურობდა კულაკური პარტიის „პისტის“ ლიდერი ბ. ვიტოსი. ამან მასების კიდევ უფრო მეტი უკმაყოფილება გამოიწვია. პილსუდსკიმ ამით ისარგებლა და შუა მაისში პოლონეთის სოციალისტური პარტიის, გლეხთა პარტიების „ვიზვოლენისა“ და „სტროინიცტვო ხლოფსკეს“ აქტიური მხარდამჭერით ფაშისტური გადატრიალება მოახდინა, მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის ფართო მასების მოძრაობა პოლონეთის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობამ და „ვიზვოლენეს“ პარტიამ, რომლებმაც პილსუდსკის „მამულის მხსნელისა“ და „დემოკრატიის“ რეაუტაცია შეუქმნეს. პოლონეთის კომპარტიის ხელმძღვანელობა და პარტიული აქტივი ვერ ეაერკვნენ ამ გადატრიალების ხასიათში და მხარი დაუჭირეს მას, ხოლო პოლონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანომ „ჩერვონი შტანდარმა“ ისიც კი მოითხოვა, რომ იარაღით ხელში გამოსულიყვნენ პილსუდსკის დასაცავად.

ძერჟინსკი შეშფოთებული იყო პოლონეთში შექმნილი მდგომარეობით. ჯერ კიდევ 1926 წლის აპრილში იგი პოლონეთის კომპარტიის წარმომადგენელს კომინტერნის აღმასკომში ვ. ბოგუცკის სწერდა: „ვარშავიდან გამოგზავნილი თქვენი წერილი მივიღე... თუ ეს წერილი ადოლფმა (ა. ვარსკი) დაწერა, ეს ადასტურებს, რა უცაბად ეხერხება თავისი პოზიციის შეცვლა... მისი ლოზუნგი პილსუდსკის სასარგებლოდ, ჩემი აზრით შეუწყნარებელია და საერთო არა აქვს რა პარტიის ბოლშევიზაციასთან. პილსუდსკის მხარდაჭერის ლოზუნგი ნიშნავს პოლონეთის კომპარტიის, როგორც მუშათა კლასის პარტიის ლიკვიდაციას...“.

ფელიქს ედმუნდის ძე, რომელიც უკვე გადატრიალების დღეებში პილსუდსკის მხარდაჭერის წინააღმდეგ გამოვიდა, ამავე დროს ცდილობდა ეშვენებინა, რისთვის შეიძლებოდა მიეღწიათ პოლონელ მუშებსა და გლეხებს ქვეყანაში, რომელიც სოციალიზმს აშენებს. დოვბიშელი მუშებისადმი იმავე წერილში იგი საინტერესო აზრს ვამოთქვამს უკრაინის პოლონური რაიონის მშრომელთა მუშაობის მნიშვნელობაზე პოლონეთის მშრომელთა შორის სოციალიზმის პროპაგანდისათვის და მოუწოდებს „იმუშაონ ისე, რომ შესაძლებელი იყოს ჩვენთან მოვიწვიოთ პოლონეთის მუშათა და გლეხთა დელეგაციას და რაიმე გვქონდეს სათქმელი პოლონელი მუშებისა და გლეხებისათვის...“. ძერჟინსკის ეს წერილი 1926 წლის 14 მარტს გამოაქვეყნა გაზეთმა „სერპმა“ უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ორგანომ. მან პოლონელი კომუნისტების ყურადღება მიიპყრო და დაიბეჭდა პოლონეთის კომპარტიის თეორიულ ორგანოში — ჟურნალ „ნოვი პშეგლენდში“.

ფ. ე. ძერჟინსკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კომუნისტი პოლონელების, პოლონელი მშრომელების აღზრდას პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, რუს და საბჭოთა ხალხის სხვა ხალხებთან მეგობრობის სულისკვეთებით. მას არაერთგზის შეუსწავლია მათთვის პოლონურ-რუსული რევოლუციური კავშირის ტრადიციები, მოუწოდებია შეესწავლათ პოლონეთის მუშათა კლასის სახელოვანი წარსული. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს 1925 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებით შეიქმნა სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიის პოლონური კომისია და მისი თავმჯდომარე ფ. ე. ძერჟინსკი გახდა. კომისიის შემადგენლობაში შეიყარენ ფ. კონი, ი. უშლიხტერი, ს. ბობინსკი, ს. ბუძინსკი და ი. კრასნი. მან მჭიდრო კონტაქტი დაამყარა საბჭოთა სახელმწიფო და პარტიულ დაწესებულებებთან, კომინტერნის აღმასკომში პოლონეთის კომპარტიის წარმომადგენლობასთან და დიდი მუშაობა გააწარა პოლონეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიის მასალების შეგროვებისათვის, მომზადებისა და გამოქვეყნებისათვის.

* * *

ფ. ძერჟინსკი ისტორიაში შევიდა, როგორც პარტიის რიგების ერთიანობისათვის ერთ-ერთი ყველაზე დაუცხრომელი და მგზნებარე მებრძოლი, არ ყოფილა არც ერთი შინაპარტიული დისკუსია, რომელზეც ფელიქს ედმუნდის ძე აქტიურად არ გამოსულიყო ოპოზიციონერთა წინააღმდეგ, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ლენინური ვეზნის დასაცავად. გარკვეული გამონაკლისია 1920 წლის დამლეგის-1921 წლის დამლეგის პროფკავშირული დისკუსია, რომელზეც მას რამდენიმე ხნის განმავლობაში მცდარი პოზიცია ეკავა და ერთბაშად ვერ გაერკვა უთანხმოებათა არსში. მაგრამ როგორც კი მიხვდა ძერჟინსკი, თუ რას იწვევდა ოპოზიციის წინადადებანი, სამუდამოდ დადგა ლენინის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობის მხარეზე.

1921 წლის მაისში ძერჟინსკი სტალინთან და ფრუნზესთან ერთად შედიოდა კომისიაში, რომელსაც ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა გამოეძიებინა საკავშირო პროფსაბჭოს მაშინდელი თავმჯდომარის ტომსკის საქმიანობის სერიოზული შეცდომები, სწორედ იმ ტომსკისა, რომელიც შემდგომში მემარჯვენე ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი გახდა.

პარტიის ერთიანობის განმტკიცების, მისი ბრძოლისუნარიანობის გაზრდის საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროს მიმდინარე პარტიული რიგების წმენდას. ფელიქს ძერჟინსკის დაევალა 1921 წლის სექტემბერში ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს სხდომაზე გაეკეთებინა მოხსენება „რკპ (ბ) შემოწმებისა და წმენდის წესისა და საშუალებების შესახებ“.

პარტიის XI ყრილობაზე (1922 წლის 28 მარტს) ძერჟინსკი სხვა დელეგატებთან ერთად აირჩიეს კომისიაში, რომელსაც ევალებოდა შეემოწმებინა „მუშათა ოპოზიციის“ (შლიაპნიკოვის, მედვედევის, კოლონტაისა და სხვების) ყოფილი ჯგუფის ფრაქციული საქმიანობა. კომისიის დასკვნის საფუძველზე ყრილობამ დაადგინა, რომ ეს ჯგუფი განაგრძობდა ანტიპარტიულ ბრძოლას და ორი წელი გარიცხა რკპ (ბ) რიგებიდან, დანარჩენები კი გაფრთხილა, რომ თუ კვლავაც განაგრძობენ ფრაქციულ საქმიანობას, ჯაირიცხებიან პარტიის რიგებიდან.

1923 წლის შემოდგომაზე ტროცკიმ და მისმა მომხრეებმა, რომლებმაც ისარგებლეს ვ. ი. ლენინის ავადმყოფობით, გააძლიერეს თავდასხმები პარტიის გენერალურ ხაზზე, ყოველნაირად ცდილობდნენ ჩირქი მოეცხოთ ცენტრალური კომიტეტის საქმიანობისათვის, ცენტრალური კომიტეტისადმი, ტროცკის წერილში, მის ბროშურაში „ახალი კურსი“, 46 ოპოზიციონერის განცხადებაში და სხვა ტროცკისტულ დოკუმენტებში წამოყენებული იყო ფრაქციებისა და ჯგუფებების თავისუფლების მოთხოვნა, პარტია უპირისპირდებოდა პარტიულ აპარატს, ახალგაზრდა კადრები — გამოცდილ ხელმძღვანელებს.

რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ლენინძიებებს მიმართა შინაპარტიული უთანხმოების აღსაკვეთად პრინციპულ ლენინურ საფუძველზე, ამ ლენინძიებათა შეეუშვებინა, და რეალიზაციაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ძერჟინსკიმ. იგი ჩაუდგა სათავეში 1923 წლის 18 სექტემბერს ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ შექმნილ კომისიას, რომელსაც უნდა შეეხედა შინაპარტიული ცხოვრების პრობლემები, აგრეთვე საკითხები, რომლებიც დაკავშირებული იყო ქვეყნის საერთო ფინანსურ მდგომარეობასთან და ხელფასის დარგში პარტიის პოლიტიკასთან. ამ კომისიის წინადადებანი 20 სექტემბერს განიხილა ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ძერჟინსკი ამ კომისიის თავმჯდომარედ ამოიღო და ამ ძნელ ეამს მთლიანად ენდოს და ურყევად დაუჭიროს მხარი ცენტრალურ კომიტეტს“. ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ძერჟინსკიმ მოხსენება გააკეთა სარეფორმაციო კომისიის სახელით რეზოლუციის პროექტის შესახებ, აგრეთვე სიტყვა წარმოთქვა კენჭისყრის მოტივების გამო.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“, № 206, 207, 208, 209.

ფ. ე. ძერჟინსკი, ი. ი. მარხლევსკი და ფ. ი. კონი — პოლონეთის დროებითი რევოლუციური კომიტეტის წევრები. მარცხნიდან პირველი ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვი, 1920 წელი.

ᲡᲠᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

მსოფლიოს ამბები

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲖᲔ ᲖᲠᲣᲜᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲘᲛᲣᲨᲘ

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘᲗ ᲔᲪᲜᲝᲑᲘᲐᲜ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

ᲑᲝᲛᲑᲔᲘ სიდიდით მეორე ქალაქია ინდოეთში. აქ ექვს მილიონზე მეტი მცხოვრებია და მეტმა წილმა იცის, რომ სსრ კავშირში გამოიცა ახალი კონსტიტუციის პროექტი და ახლა მისი საყოველთაო-სახალხო განხილვა მიმდინარეობს. პროექტის სრული ტექსტი გამოქვეყნდა ჟურნალებში „საბჭოების ქვეყანა“ და „საბჭოთა მიმოხილვა“, რომლებიც 13 ინდურ ენაზე გამოდის. პროექტის ტექსტი ბრიშურადაც დაიბეჭდა. მას ხშირად მიმართავენ ხოლმე ჟურნალისტები, მის შესახებ ლაპარაკია სხვადასხვა პარტიებისა და ორგანიზაციების მიტინგებზე, მუშათა კლუბებში. და ყოველთვის წითელ ზოლად გასდევს აზრი იმის თაობაზე, რომ საბჭოთა კონსტიტუციის პროექტი ნიმუშია განვითარებადი ქვეყნებისათვის.

ᲘᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲐ ᲐᲤᲐᲡᲔᲑᲔᲗ ᲩᲕᲔᲜ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲡ ᲑᲝᲛᲑᲔᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘ:

ᲩᲝᲰᲐᲜᲑᲐᲰᲐᲜ ᲞᲐᲢᲔᲚᲘ, საფეიქრო ფაბრიკა „ელფისტონ მილსის“ მუშა: „ჩვენში სოციალიზმზე საქმაოდ ლაპარაკობენ, მაგრამ ბევრს ჯერ კიდევ სრული წარმოდგენა არა აქვს, თუ რა საზოგადოებაა იგი. ახალი საბჭოთა კონსტიტუციის პროექტი ნათელს ჰფენს ყოველგვარ ბუნდოვანებას. მას ხელს მოვაწერდით მეც და ჩემი თანამოსაქმეთაც, ხელს მოაწერდა ნებისმიერი ქვეყნის მშრომელი ადამიანი. პროექტი იმ საზოგადოების მომავალი ძირითადი კანონია, საოცარია ყველა ხალხი მინსწრაფვის“.

რამან მანი, ადმინისტრაციული დაწესებულების მოსამსახურე: „თქვენი კონსტიტუციის პროექტი იმ მიღწევათა ნუსხაა, რომლებზეც კაცობრიობის ბევრი თაობა ოცნებობდა. ადამიანზე ზრუნვით არის გამსჭვალული ყოველი სტრიქონი. პირადად ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება დატოვა მუხლმა, სადაც ლაპარაკია მოქალაქეთათვის არა მარტო შრომის, არამედ პროფესიის არჩევის, მოწოდების შესაბამისად მუშაობის უფლების უზრუნველყოფაზე. ასეთი რამ შესაძლებელია მხოლოდ რეალური და განვითარებული სოციალიზმის პირობებში“.

კონსტიტუციის პროექტის ცალკეული განყოფილებები დაასახელის ჰასუმატი შაჰს გაიცნო მისმა ქმარმა, საქალაქო კომუნალური მეურნეობის მუშაკმა. მას მოსწონს, რომ ჩვენს ქვეყანაში მამაკაცები და ქალები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ, ჩვენში ადამიანი კი არ ეძებს სამუშაოს, არამედ პირიქით. უფასოა განათლება და სამედიცინო მომსახურება, თითოეული მოქალაქე მოხუცებულობაში უზრუნველყოფილია პენსიით და ა.შ. ბომბეელი დიასახლისი განსაკუთრებით დაინტერესდა მუხლით, სადაც ნათქვამია, რომ სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ ბინის უფლება, რასაც განსაკუთრებით უზრუნველყოფს ბინის ქირის სიმცირე. „საცხოვრებელი ბინის პრობლემა, — ამბობს ჰასუმატი შაჰი, — ბომბეიში და ინდოეთის სხვა დიდ ქალაქებში ძალიან მწვავედ დგას“.

როგორღა აფასებენ ახალი საბჭოთა ძირითადი კანონის პროექტს ადამიანები, რომლებსაც თავიანთ სამსახურებრივი მდგომარეობის გამო კანონების შემუშავებაში მონაწილეობა უხდებათ და მათი შესრულების კონტროლი ევალებათ?

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲗᲐᲗᲕᲘᲡ“ (იგი ბომბეიში მარათჰისა და გუჯარეთის ენებზე გამოდის) მიცემულ ინტერვიუში მაპარაშტრას შტატის მთავრობის სამართლის მინისტრმა ჰუსაინ დალვამ განაცხადა: „სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი ასახავს საბჭოთა საზოგადოების მთავარ მიღწევას — განვითარებულ ეკონომიკას, დემოკრატიასა და სოციალურ თანასწორობას. იგი მოქალაქეებს უზრუნველყოფს ფართო სოციალურ-პოლიტიკური უფლებებითა და თავისუფლებებით, მათ შორის სიტყვის, პრესის, კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობისა და დემონსტრაციების მოწყობის უფლებით, აგრეთვე სინდისის სრული თავისუფლებით. პროექტი ადასტურებს და ამავე დროს აფართოებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში ადამიანთა მონაწილეობის უფლებას. საბჭოთა ადამიანებს უფლება აქვთ შეიტანონ თავიანთი წინადადებები სახელმწიფო. და საზოგადოებრივ დაწესებულებებში. გაკრიტიკონ ნაკლოვანებები და, რაც მთავარია, არ ეშინოთ შედეგებისა, ვინაიდან კრიტიკისათვის დევნა კანონით აკრძალულია“.

„გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, განაგრძობს ჰუსაინ დალვამი, რომ მომავალი საბჭოთა კონსტიტუცია საბჭოთა ხალხის გვიანტური ნაბიჯია მთავარი მიზნისაკენ მიმავალ გზაზე. ნიშანდობლივია, რომ კონსტიტუციის პროექტი სახალხო განხილვისათვის გამოტანილია სწორედ საბჭოების ქვეყნის მე-60 წლისთავის საიუბილეო წელს“.

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტს დიდი შეფასება მისცეს ბომბეელმა იურისტებმა. აზრი გამოთქვეს, კერძოდ, ინდოეთ საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის საქალაქო საზოგადოების მიერ მოწყობილი სემინარის მონაწილეებმა. სიტყვით გამოვიდნენ მაპარაშტრას შტატის გენერალური ადვოკატი რამრაო ადიკი, შტატის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე გ. ნ. ვადია, ადვოკატები დ. ჩარი, კ. სინგჰი და სხვ.

მოგვყავს ერთი ციტატი მოსამართლე გ. ნ. ვადიას გამოსვლიდან.

ამას წინათ ორი ცნობა მოედო მთელ მსოფლიოს: ერთმა ქვეყანამ, ხალხის სასიხარულოდ, ახალი კონსტიტუციის პროექტი გამოსცა, მეორემ, ხალხის სამწუხაროდ, ახალი ნეიტრონული ბომბი გამოიგონა... საბჭოთა კონსტიტუციის პროექტი აშკარად უპირისპირდება მათ, ვინც სიტყვით ადამიანის უფლებებს ქადაგებს, სინამდვილეში კი არ ძალუძს უზრუნველყოს ადამიანი არა თუ უფლებებით, არამედ თუნდაც ელემენტარული უშიშროებით.

(ახალი ამბების საგენტო).

ᲑᲝᲛᲑᲔᲘ.

ᲔᲡᲔᲪ ᲨᲔᲜᲘ „ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ“

„დემოკრატია“ დასავლურად

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘ, რუსები, ფრანგები, გერმანელები სიტყვა „დემოკრატიას“ თითქმის ერთნაირად გამოთქვამენ. მაგრამ თითოეული მათგანი ამ სიტყვაში გულისხმობს თავისი სამყაროს არსს და გამოხატავს მისდამი დამოკიდებულებას.

მართლაც და, განა შეიძლება, რომ სიტყვა „დემოკრატია“ ერთნაირად ეღერდეს 158 მილიონი ამერიკელისათვის, რომლებზედაც პოლიციას საიდუმლო დოსიე აქვს შედგენილი, და საბჭოთა ადამიანებისათვის, რომლებიც ახლა თავისი ქვეყნის ახალი კონსტიტუციის პროექტს განიხილავენ, მოსფლიოში ერთადერთი კონსტიტუციასა, რომელიც ჰელსინკის ათსავე პრინციპს შეიცავს.

ლუქსემბურგის გაზეთი „ცაიტუნგ ფუმ ლუქსემბურგერ ფოლკი“ წერდა: „სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი რეალური სოციალური და ეკონომიკური მიღწევების, აგრეთვე საზოგადოების ჭეშმარიტი დემოკრატიზმის ზუსტი კრიტერიუმია“. ლუქსემბურგის გაზეთის ეს ციტატი იმისათვის კი არ მოვიხმეთ, თითქოს სხვისი მხარდაჭერა მჭირდებოდეს ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონის პროექტის შეფასებაში, ან კიდევ ერთხელ აღვნიშნო მისი საერთაშორისო რეზონანსი. ამ გამოთქმულებში ნათქვამია მთავარი: ახალი კონსტიტუციის პროექტი ასახავს საბჭოთა საზოგადოების რეალურ დემოკრატიზმს. დემოკრატიის საკითხი კი სიკეთესა და ბოროტებაზე განყენებული კამათი როდია.

მოკლე საგაზეთო შენიშვნის მიზანი არ შეიძლება იყოს ისეთი ფართო ცნების ანალიზი, როგორიც „დემოკრატიაა“. რამდენიმე ფაქტი თანამედროვე ქრონიკიდან მხოლოდ იმის დადასტურებაა, თუ როგორ ესმოდა ეს სიტყვა დასავლეთში.

რის თქმა შეუძლია დემოკრატიის შესახებ იტალიის პატარა ქალაქ ანგუილიარის ექვს ათას მცხოვრებს? ისინი კვლავაც უკიდურეს სიღარიბეში იცხოვრებდნენ, სინიორ ბალდაზარინის და კორუის მათი კეთილი უძრავი ქონების — სახლების, ქუჩების, ანგუილიარის არხების გაყიდვა რომ არ გადაეწყვეტათ. ყველაფერი ერთად აღებული მილიარდნახევარ ლირად შეაფასეს. ყიდვა შეუძლია ნებისმიერ მსურველს, საქმე მიტოვებულ საქათმეს რომ ეხებოდეს, და არა ქალაქს, სადაც ექვსი ათასი კაცი ცხოვრობს.

შვეიცარია მსოფლიო კაპიტალიზმის საბანკო სეიფია, ამ ქვეყნის კონსტიტუციაში ჩაწერილია სიტყვები რეფერენდუმის, ხალხის ნებასურვილის გამოხატვის ამ საუკეთესო საშუალების, უფლების შესახებ. რა შეიძლება იყოს უფრო დემოკრატიული? მაგრამ ეი თუნდაც ერთი მაგალითი. შარშან ოქტომბერში შვეიცარიელმა მშრომელებმა შეკრიბეს ნახევარი მილიონი ხელმოწერა, რაც საჭირო იყო იმისათვის, რომ ჭრონდათ სახალხო კონსულტაციის მოწყობის უფლება. ლაპარაკი იყო ომის თაობაზე, რომ კენჭისსაყრელად გაეტანათ საკითხი 45-საათიანი სამუშაო კვირის შემცირების შესახებ. ამა ქვეყნის ძალიერთა ხელისუფლებამ მდგომარეობიდან გამოსავალს ადვილად მიაგნო (ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ თვითონ ეს იდეაც კი არ ეპატნავთ). „თუ სამუშაო დროის ხანგრძლივობის შემცირება გადაწყდება, — განაცხადეს მეწარმეებმა, — პროდუქციულად შემცირდება ხელფასიც“. ასეთი მუქარა ხუმრობა არ გეგონოთ, განსაკუთრებით ახლა, მწვავე კრიზისის პირობებში. რეფერენდუმი არ გამართულა.

რით შეიძლება გაიზომოს საზოგადოების „დემოკრატიზმი? არ არსებობს უნივერსალური სახაზავი, რომლითაც შეიძლებოდეს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მთელი სიგრძე-სიგანით გაზომვა. გაზომვის საწყისი წერტილი, ყველაზე მარტივი და თვალსაჩინო შეიძლება იყოს „ცხოვრების წვრილმანები“, დამახასიათებელი და ამდენად ბუნებრივი ფასტები და ქცევები. თქვენ კითხულობთ გაზეთს სამუშაოზე ბაღდ მიმავალი, იღებთ ყურმილს და საუბრობთ ტელეფონით, სანამ სამზარეულოში კერძი იხარშება. ყველი ეს ცხოვრებისეული წვრილმანი სულ სხვა მნიშვნელობას შეიძენს, თუ წარმოიდგენთ, რომ დედამიწის 800 მილიონი, მცხოვრები უწიგნურია; ნახევარ მილიონზე მეტი კანადური ოჯახი სიღარიბის ისეთ დონეზე ცხოვრობს, რომ ყოველდღე კერძის მოხარშვის საშუალება არა აქვს; იტალიელი ვერასოდეს დარწმუნებით ვერ იტყვის, ჩემს საუბარს ტელეფონით საიდუმლო სამსახურის აგენტები არ ისმენენო. დიახ, ყველაფერი ეს დემოკრატიაა... ან უმისობა.

З. ᲢᲠᲣᲜᲝᲕᲘ.

ᲤᲝᲢᲝᲠᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲦᲝᲜᲔᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲓᲜᲔᲜ ᲓᲔᲛᲝᲜ ᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲠᲑᲔᲕᲐᲓ.

კამერა პრეს-ხაკდესის ფოტო.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ

ᲮᲔᲚᲧᲝᲤᲕᲔᲜ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲡ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. „ჩვენ მიგვაჩნია, რომ მოვიგეთ ბრძოლა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის ომში საბოლოო გამარჯვება, რისთვისაც თუ საჭირო გახდა მომავალშიც განვაგრძობთ ბრძოლას“ — ასე გამოხატეს „გრანვიკის“ ისტორიული გაფიცვის მონაწილეებმა თავიანთი დამოკიდებულება სახელმწიფო სასამართლო ექსპერტიზის გამოძიების ახლახან გამოქვეყნებული შედეგებისადმი.

ლონდონის ფოტომასალების დამმუშავებელი ფაბრიკის — „გრანვიკის“ მუშების გაფიცვა მთელი წლის მანძილზე გრძელდებოდა და მეწარმეებისაგან თავიანთი პროფკავშირული უფლებების ცნობას და სამუშაოზე უკანონოდ დათხოვნილი ამხანაგების აღდგენას მოითხოვდნენ. კონფლიქტმა მშრომელებსა და ხელისუფლებას შორის პრინციპული შეტაკების ხასიათი მიიღო. მშრომელთა სამართლიან მოთხოვნას ადმინისტრაციამ მასობრივი დათხოვნებით უპასუხა, ხოლო პოლიცია სახტიკად გაუსწორდა დემონსტრაციის მონაწილეებს.

ᲠᲐᲡᲘᲖᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲔ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲨᲐᲠᲚᲝᲢᲗᲨᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚ ᲠᲐᲡᲘᲡᲢᲗᲐ ᲐᲦᲕᲘᲠᲐᲮᲡᲜᲘᲚᲝᲑᲐ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 6 სექტემბერი. (საკდესი). ახალი დანაშაული ჩაიდინეს რასისტებმა ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ქალაქ შარლოტში. თეთრკანიანმა ამერიკელმა აუდელვებლად დაუმიზნა შაშხანა ზანგების ჯგუფს და სროლა აუტეხა; ერთი კაცი მოკლა, სამი კი მძიმედ დაჭრა.

აღვირახსნილი რასიზმი ახალი ამბავი როდია ჩრდილოეთ კაროლინაში, რომელსაც პროგრესული ამერიკელები სამართლიანად უწოდებენ „რასიზმის საბუდარს“. ამ შტატის საპყრობილეებში გამოწყვდეული ჰყავთ ზანგთა თანასწორუფლებიანობისათვის თვალსაჩინო მებრძოლები „უილმინგტონის ათეული“, „შარლოტის სამეული“. აქ რამდენჯერმე დაუპირეს მოკვლა „შარლოტის სამეულის“ ლიდერს ჯიმი გრანტს, რასისტი არამზადები ცდილობდნენ „გზიდან ჩამოშორებინათ „აგრეთვე ჩაგვრისა და უსამართლობის წინააღმდეგ ზანგთა მოძრაობის სხვა აქტივისტები.

მაგრამ ეს ახალი დანაშაული, „შრომის დღეს“ რომ მოხდა, ყველა სხვა დანაშაულს აჭარბებს თავისი სისასტიკითა და დაუნდობლობით.

დღესასწაულთან დაკავშირებით 200-მდე ზანგს პიკნიკი გაემართა ეკლესიის მახლობლად გაშლილ მდელოზე. არავის არ შეუნიშნავს, როგორ გაჩერდა სამასიოდე მეტრზე მანქანა და როგორ გამოვიდა იქიდან თეთრკანიანი ახალგაზრდა, რომელსაც ნახევრად სამხედრო ფორმა ეცვა და სვასტიკიანი სამკლავური ეკეთა. მას ხელში შაშხანა ეკავა. ზედიზედ იგრიალა 12 გასროლამ. 4 კაცი დაეცა. 29 წლის რუზველტ დევისისათვის ეს დღე უკანასკნელი აღმოჩნდა: მას მკერდში გაუარა ტყვიამ. სიკვდილის პირასაა 28 წლის ჯოენ ტერიც.

გაისმა კიდევ

ეძღვნება დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს



მინიატიურული წიგნების გამოფენა

ამ დღეებში სოხუმში მაღაზია „საუნჯეში“ გაიხსნა ხალხური გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია სსრ კავშირის ხალხთა სხვადასხვა ენაზე გამოცემული 200-ზე მეტი მინიატიურული წიგნი.

ეს ექსპოზიცია მოაწყო მინიატიურული წიგნის მოყვარულთა სოხუმის სექციამ აფხაზეთის ასსრ კულტურის სამინისტროს რესპუბლიკურ ბიბლიოთეკასთან ერთად.

სოხუმის მცხოვრებთა და სტუმართა დიდი ინტერესი გამოიწვია კოლექციებმა, რომლებიც გამოფენაზე წარმოადგინეს ნ. კობილინმა, ი. შმიდტმა, ა. ალექსანიანმა, ხ. აპტმა და მინიატიურული წიგნის მოყვარულთა სექციის სხვა წევრებმა.

აქ არის ვ. ი. ლენინის, ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებები, პარტიული დოკუმენტების, საბჭოთა ლიტერატურის კლასიკოსთა კრებულები.

ეს ხელნაკეთი გამოფენა მისმა ორგანიზატორებმა სახელოვან ოქტომბრის მე-60 წლისთავს მიუძღვნეს.

სურათებზე: ზემოთ — ვ. ი. ლენინის თხზულებათა მინიატიურული გამოცემები; მარჯვნივ — მნახველები ათვალიერებენ გამოფენის ერთ-ერთ განყოფილებას.

ფ. პეხლინელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ფ ე რ ი ლ ი რ ე დ ა ქ ც ი ა ს

უკვდავყოთ დიდი მხატვრის ღვაწლი

მიხაილ ზიჩის დაბადების 150-ე წლისთავისათვის

ფელ ოქტომბერში ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს დიდი უნგრელი მხატვრის მიხაილ ზიჩის (1827–1906) დაბადების 150-ე წლისთავს.

მიხაილ ზიჩის განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის უნგრელი, რუსი და ქართველი ხალხების დაახლოებისა და დამეგობრების კეთილშობილურ საქმეში. ამ მხრივ მის მიერ შესრულებული როლი ეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობისაა. მიხაილ ზიჩის შემოქმედებითი მემკვიდრეობა, ბარდა მშობლიური უნგრულისა, რუსულ და ქართულ კულტურათა განუყოფელი ნაწილი გახდა. ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს მიხაილ ზიჩის სრულიად უანგარო, ფასდაუდებელ შრომას ჩვენი ეროვნული დიდების „ვეფხისტყაოსნის“ დასასურათებლად.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ცნობილმა უნგრელმა მეცნიერმა და მთარგმნელმა ბელა ჯიკარმა, თავისივე აღიარებით, „ვეფხისტყაოსანი“ უნგრულ ენაზე სწორედ მიხაილ ზიჩის შთაგონებით თარგმნა (დაიბეჭდა ბუდაპეშტში 1917 წელს). ეს მსოფლიოში რუსთველის უკვდავი პოემის სრული პოეტური თარგმანის ერთ-ერთი პირველი ცდა იყო, რამაც უთუოდ შეუწყო ხელი ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთ მის გავრცელებასა და პოპულარიზაციას. მიხაილ ზიჩის მეგობრობა და თანამშრომლობა ქართველი ხალხის სახელოვან შვილებთან — ილია ჭავჭავაძესთან, ივანე მაჩაბელთან, ნიკო ნიკოლაძესთან, იონა მეუნარგიასთან და სხვებთან საფუძამოდ შეიკვრა ორი მოძმე ხალხის — უნგრელი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორიაში.

მიხაილ ზიჩის ღვაწლი ჩვენში სათანადოდ არის დაფასებული.

უკანასკნელ ხანს დადგინდა, რომ თბილისში, ვახტანგ ორბელიანის ქუჩის № 4-6 სახლში (ყოფილი ორბელიანების სახლი) მოთავსებული იყო სტამბა, რომელშიც 1888 წელს დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ მდიდრული, ე. წ. ქართველიშვილისეული გამოცემა ზიჩის ილუსტრაციებით.

ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება, **მიხაილ ზიჩის საიუბილეო დღეებში ამ სახლს გაუკეთდეს მემორიალური დაფა შესაფერისი წარწერით: „აქ 1888 წელს დაიბეჭდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ გამოჩენილი უნგრელი მხატვრის მიხაილ ზიჩის ილუსტრაციებით“.**

ამით უკვდავვყოფთ ჩვენი ხალხის დიდი მეგობრის მიხაილ ზიჩის ღვაწლს ქართული კულტურის წინაშე.

ალექსანდრე ბარამიძე,
სარგის ცაიშვილი,
გურამ შარაძე.

კონცერტები მინდვრად

ლაგოდეხი. რაიონულ კულტურის სახლთან შექმნილი აგიტმხატვრული ბრიგადა (ხელმძღვანელი საკავშირო ფესტივალის ლაურეატი გ. ჯიბლაძე) მინდვრის შრომელებს ხმირი სტუმარია. ისინი მოსავლის აღების პირველივე დღეებიდან კონცერტებს უმართავდნენ მექანიზატორებსა და კალოზე მომუშავე კოლმეურნეებს, ამჟამად ბრიგადის წევრები სოფლების ლელიანის, აფენის, ჰაბუკიანის, ვარდისუბნის, შრომის, ნინიგორისა და ცოდნისკარის თამბაქოს საშრობ ფარდულებს ესტუმრნენ.

ქართულმა ხალხურმა სიმღერებმა და ცეკვებმა მშრომელთა მოწონება დაიმსახურა.

გ. გოგოსაშვილი.

ქართული კულტურის საერთაშორისო მერიდიანები

სიმღერა გვაახლოებს

ბევრჯერ მოგვისმენია და დამეჯერებინა „ცისფერი ტრიოს“ ხელოვნებით, მაგრამ, თურმე, არაფერი შეედრება იმ სიამოვნებას, რომელსაც ქართველი კაცი უცხოეთში მისი გამოსვლების დროს განიცდის. ეს სიამოვნება ორმაგია — ტრიოს სიმღერები ხომ მშვენიერია, ამას ემატება სიამაყის გრძნობა, რომელსაც იწვევს უცხოელ მსმენელთა აღტაცება.

თამაზ სეფერთელაძის, მალხაზ თავართქილაძის და დავით აბესაძის „ცისფერმა ტრიომ“, რომელსაც ფილარმონიის სოლისტი, მესალმური ვაჟა ცხვედაძე ახლავს ავსტრიაში კონცერტები გამართა. ჩვენი გამომგზავრების წინადღეს უკანასკნელ კონცერტზე უზარმაზარი დარბაზი აღფრთოვანებას ვერ მალავდა და სტუმრებს ფეხზე ამდგარი ესალმებოდა. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენს საზოგადოებრიობამ, მუსიკის მოყვარეებმა ჩვენი ქართული მელოდიები უმალ „გაითავისეს“ და ისეთი სიყვარულით მიიღეს, თითქოს ამ მუსიკასთან ყოფილიყვნენ შეზრდილი. მასპინძელთა საერთო აღიარებით ისეთი წარმატება, რომელიც „ცისფერი ტრიოს“ კონცერტებს ჰქონდა, რომელიმე კოლექტივს იშვიათად რგებია.

წარმატებამ მართლაც, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. აღ დამთავრდა ბოლო კონცერტი, ჩვენ, საბჭოთა კავშირ-ავსტრიის მეგობრობის საზოგადოების დელეგაციის წევრები სასტუმროში დავბრუნდით და სამშობლოში გამომგზავრების თადარიგს შეუდექით. გავდა საკმაო დრო, მაგრამ ჩვენი ტრიო არა და არ ჩანდა. ცოტათი შეშფოთდით კიდეც. თურმე ვენის ბურგომისტრს, ხალხური და პროფესიული მუსიკის დიდ თაყვანისმცემელს, კონცერტის შემდეგ ჩვენი მსახიობებისათვის უთქვამს, ქალაქის ხელისუფალნი ძალიან გთხოვთ ჩვენთვის და ჩვენი მეგობარ-ახლობლებისათვის პატარა კონცერტი გამართოთო. ჩვენი ბიჭებიც დათანხმებულან. ეს მარტოოდენ კონცერტი არ ყოფილა. იგი იყო კიდევ ერთი თვალსაჩინო გამოვლინება იმ კარგი ურთიერთობისა, რომელიც ხელოვნება უყრის საფუძველს...

„ცისფერი ტრიოს“ კონცერტები ავსტრიაში

ჩვენი დელეგაცია ავსტრიაში საბჭოთა კავშირის დღეებში მონაწილეობის მისაღებად იყო ჩასული. ასეთი ღონისძიება ადრეც გამართულა ავსტრია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ხელშეწყობითა და თაოსნობით, მაგრამ ამჟამინდელი საბჭოთა კავშირის დღეები განსაკუთრებული მნიშვნელობისა გახლდათ — იგი მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს, რომლის შესახვედრად ემზადება ავსტრიის პროგრესული საზოგადოებრიობა.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოსა და ტიროლის მხარეს მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს, ხოლო თბილისი და ინსბრუკი დამბოლილებული ქალაქებია.

ტიროლის ბუნება საოცრად მოჰგავს ჩვენს ბორჯომის ხეობას. ისევითვე პეზაკი, დაბურული ტყეები, ბობოკარი მდინარეები, აძწვანებული მთები, ხალხი — ერთობ უშუალო, გულღია და სტუმართმოყვარე. ჩვენმა ტრიომ ინსბრუკშიც გამართა კონცერტი, რომელსაც მეგობრობის საღამოც შეიძლება ეწოდოს. ეს კონცერტი ავსტრია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ინსბრუკის საზოგადოების კლუბში მოეწყო და დიდძალი მაყურებელი მოიზიდა. კონცერტის შემდეგ ქალაქის ბურგომისტრმა იინ ჰეიდლმა გულთბილი დარბაზობა გაგვმართა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს და ტიროლის მხარის კულტურული კონტაქტები დიდ როლს ასრულებს ავსტრიელი და საბჭოთა ხალხების დაახლოება-დამეგობრების საქმეში. მან გულთბილად გაიხსენა საქართველოში ყოფნის დღეები და გულთბილი გულითადი სალამი გადაგვეცა ქართველი მეგობრებისათვის.

განუმეორებელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე ზალცბურგმა. ამ ძველ და ულამაზეს ქალაქში ჩვენ განუშორებლად თან დაგვყვებოდა მოცარტის ფლოდია. ეს ფიგურალური გამოთქმა არ გეგონოთ. დიდი მოცარტის მშობლიური ქალაქი ჩვენი იქ ყოფნის დროს დღესასწაულობდა ზალცბურგის უნივერსალური ციხის კომპლექსის 900 წლისთავს. ქუჩები სავსე იყო ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ტიროლელებით, ყველგან გაისმოდა ხალხური სიმღერები, მოცარტის, ვაგნერის, ბეთჰოვენის, შტრაუსის ნაწარმოებები. ჩვენი ბიჭები სიამოვნებით დაჰყვნენ ავსტრიელთა თხოვნას და მონაწილეობა მიიღეს ამ დღესასწაულში.

ავსტრიის პატარა ქალაქ ვოლჰელმბურგის ეთნოგრაფიული მუზეუმის ერთ კუთხეს შეიძლება ქართული კულტურის პატარა სავანე ვუწოდოთ. ამ მუზეუმის დირექტორი საქართველოს დიდი თაყვანისმცემელი გამოდგა, იგი ოცდახუთი წლის წინათ ყოფილა საქართველოში, მოხიბლულა ქართული კულტურისა და ხელოვნების ძეგლებით, ჩვენი ხალხის გულითადობით. მან დაგვათვალიერებინა მუზეუმის ექსპოზიცია, რომელიც მთლიანად ქართული კულტურის, ხელოვნების და ლიტერატურის ნიმუშებს აქვს დამობილი. აქ ვნახეთ „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა გამოცემა, ქართული ხალხური სიმღერების გრაფიფიტები, ოქრომჭედლობის ნიმუშები და სხვა საინტერესო ექსპონატები, როცა მუზეუმის დირექტორი საქართველოს ექსპოზიციას გვიჩვენებდა, იგი სიამაყეს და სიხარულს ვერ მალავდა. სიამაყეს იმის გამო, რომ მისი მუზეუმის დამთვალიერებელთა შორის ქართველებიც ვიყავით.

სამრეწველო ქალაქ ლინცში ჩვენს დელეგაციას მუშებმა უმასპინძლეს. გულითადი შეხვედრა მოგვიწყვეს. სხვათა შორის, ასეთი შეხვედრები მრავლად გვქონდა ავსტრიის სამრეწველო საწარმოებში, ლინცის მეტალურგიული ქარხნის ფირმას „ფესტს“ ურთიერთსასარგებლო სავაჭრო კონტაქტები აქვს საბჭოთა საწარმოებთან. ერთერთმა ლინცელმა მეტალურგმა დელეგაციის წევრებს მოგვმართა: „საოცაილიზმის პირველი ქვეყნის წარმომადგენელთა სტუმრობა ჩვენს ქარხანაში დიდი სიხარულია მუშებისათვის. თქვენ იმ ქვეყნიდან ხართ, სადაც მუშაკაცი ესოდენ დაფასებულია და სახელმწიფოს დიდი ზრუნვითაა გარემოსილი. ასეთ დაფასებაზე ჩვენ, ავსტრიელ მუშებს, შეგვიძლია მხოლოდ ვოცნებობთ. ჩვენი საუკეთესო სურველები — საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს, მთელს საბჭოთა ხალხს, რომელიც ახორციელებს პროგრესული კაცობრიობის სანუკვარ მიზანს — კომუნიზმს. ეს არის არა მარტო ჩემი, არამედ ყველა ავსტრიელი მუშის გულისთქმა“.

სამკერდე ნიშნები, რომლებიც ჩვენ გავცვალეთ, თითქოს სიმბოლური იყო. იგი გამოხატავდა ჩვენი გულის, ჩვენი ფიქრების ერთობას. სწორედ ეს იყო ავსტრიაში ჩვენი დელეგაციის ყოფნის უპირველესი მიზანი.

ალისა დარჩია,
საქართველოს ტელევიზიის რედაქტორი.

ხურათზე: მღერის „ცისფერი ტრიო“. მარცხნიდან— თამაზ სეფერთელაძე, მალხაზ თავართქილაძე, დავით აბესაძე.

პრემიერა სლოვაკიაში

საქართველო-ჩეხოსლოვაკია

დიდი ხანი არ არის, რაც თბილისში გაიმართა კინოსტუდია „ქართული ფილმისა“ და „ბრატისლავა-კოლობას“ (ჩეხოსლოვაკია) ერთობლივი ნაწარმოების ფილმ „რაჟა, ჩემი სიყვარულის“ პრემიერა. ფილმის თემა ჩეხოსლოვაკიელი და ქართველი ახალგაზრდობის მეგობრული და შრომითი ურთიერთობაა.

ფილმის პრემიერაზე საქართველოში ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიელ კინომოღვაწეთა დელეგაცია კინოსტუდია „ბრატისლავა-კოლობას“ დირექტორის შტეფან მილიჩეკის ხელმძღვანელობით.

ამ დღეებში ქართველ კინომოღვაწეთა დელეგაცია ბრატისლავას გაემგზავრა ვიზიტით, რომელიც ჩეხოსლოვაკიაში ახალი ერთობლივი ფილმის პრემიერასთან არის დაკავშირებული. პრემიერის ჩვენება დაემთხვა სლოვაკი ხალხის ეროვნულ დღესასწაულს — მიტლერული ოკუპაციის წინააღმდეგ აგვისტო-ოქტომბრის აჯანყების დღეებს. საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ ქუთათელაძე. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: სცენარის ავტორი ხ. ულეტი, ერთ-ერთი დამდგმელ რეჟისორთაგანი თ. ფალავანდიშვილი, დამდგმელი ოპერატორი დ. მარგიევი და მსახიობი ვ. ჩხაიძე.

დ. გრიშანი.

„კომუნისტის“ ინტერვიუ

ჩვენი მეტოქე

ზოგი რამ „ინტერნაციონალეზე“

ერთი კვირაც და დაიწყება ფეხბურთის ევროპული ტურნირები — ჩემპიონთა, თასის მფლობელთა და უეფას თასის გათამაშებები. როგორც ცნობილია, თბილისელები უეფას თასზე 14 სექტემბერს მილანში ხვდებიან ერთ-ერთ პოპულარულ პროფესიონალ გუნდს „ინტერნაციონალეს“. მეტოქის თამაშის ხანახვად იტალიაში მივლინებით იყო თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ნოდარ ახალაძი, რომელიც ამ დღეებში დაბრუნდა მილანიდან. გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ბ. ბახტურიძე შეხვდა თბილისელთა უფროს მწვრთნელს და სთხოვა მოკლედ ეამბნა დღევანდელი „ინტერნაციონალეს“ შესახებ. აი რა თქვა მან:

— მილანის „ინტერნაციონალე“ თავისი არსებობის სამოცდაათი წლის მანძილზე მსოფლიოში მეტად პოპულარული ვუნდი გახდა. უკანასკნელად 1971 წელს იყო იტალიის ჩემპიონი. ამბობენ, ეს მისი „გედის სიმღერა“ იყოო. მომდევნო წლებში „ინტერნაციონალემ“ იმედები გაუცრუა თავის თაყვანისმცემლებს. მაგრამ დღეისათვის გუნდი გადახალისებულია, თამაშობს ათლეტურად, ძალიან ძლიერად როგორც ტექნიკურად, ისე ტაქტიკურად. ასე რომ ზოგიერთების აზრი, თითქოს „ინტერნაციონალესგან“ აჩრდილიღა დარჩაო, სწორი არ არის.

იტალიის ჩემპიონატი წლეულს გაზაფხულამდე დამთავრდა. „ინტერნაციონალემ“ 33 ქულით მეოთხე ადგილი დაიკავა. ამავე დროს გავიდა იტალიის თასის გათამაშების ფინალში და დამარცხდა 0:2 სასელგანთქმულ „მილანთან“.

იტალიის პროფესიონალურ გუნდებში 15 ივლისისათვის მთავრდება, ფეხბურთელთა ყიდვა-გაყიდვა, ერთიდან მეორე კლუბში გადასვლა. „ინტერნაციონალე“ დატოვა 9 ფეხბურთელმა, სამაგიეროდ იყიდეს რამდენიმე ახალგაზრდა, დიდი მომავლის მქონე ფეხბურთელი. მათ შორის აღსანიშნავია 20 წლის თავდამსხმელი ალტობელი, რომელშიც კლუბმა დიდძალი თანხა გადაიხადა.

4 ივლისიდან 26 ივლისამდე „ინტერნაციონალეს“ არდადეგები ჰქონდა. ორი თვეა, რაც გუნდს ჭყავს ახალი მწვრთნელი ეუჯენიო ბერსელინი, რომელიც მანამდე მწვრთნელად მუშაობდა გენუის გუნდ „სამპდორიაში“. „ბუცები გაიხადა“ 35 წლის სანდრო მაცოლამ, რომელიც 16 წლის მანძილზე „ინტერნაციონალეს“ უცვლელი კაპიტანი იყო. მან კაპიტნის სამკლაური გადასცა ასევე ცნობილ დ ღირსეულ ფაკეტის. თვითონ კი კლუბის გენერალური დირექტორი გახდა.

იტალიის ჩემპიონატი 11 სექტემბერს იწყება. პირველ მატჩს „ინტერნაციონალე“ თავის მოედანზე გამართავს „ბოლონიასთან“. ჩვენი მოსაგალი მეტოქე ახალი სეზონისათვის მზადებას 23 ფეხბურთელით 28 იანვლიდან შეუდგა. ხელმძღვანელობამ შეიმუშავა გუნდის მომზადების სამწლიანი გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს „ინტერნაციონალესათვის“ ძველი დიდების დაბრუნებას.

11აგვისტოს „ინტერნაციონალემ“ გამართა ამხანაგური მატჩი იტალიის გუნდ „პიაჩენცასთან“ და გაიმარჯვა. შემდეგ კი იტალიის თასის ახალდაწყებული გათამაშების პირველ სტადიაში, რომელშიც ხუთი გუნდი მონაწილეობდა, ქალაქ კომოში ანგარიშით 2:0 მოუგო ადგილობრივ გუნდს, 24 აგვისტოს უმასპინძლა ქალაქ ასკოლის გუნდს. მატჩი დამთავრდა 0:0, ხოლო 27 და 28 აგვისტოს მონაწილეობა მიიღო ტრადიციულ „ოთხთა ტურნირში“, რომელიც ესპანეთის ქალაქ კადიქსში გაიმართა. ამ ტურნირში პირველ ადგილზე გამოვიდა მადრიდის „ატლეტიკო“, რომელმაც ნახევარფინალში 3:0 მოუგო ბრაზილიის „ვასკო და გამას“ და ფინალში ანგარიშით 2:0 დაამარცხა „ინტერნაციონალე“.

31 აგვისტოს იტალიის თასის გათამაშებაში „ინტერნაციონალე“ შეხვდა უმაღლესი ლიგის გუნდს „ატალანტას“ და გაიმარჯვა ანგარიშით 3:1. მე ამ მატჩს დავესწარი და თბილისში ჩამოვიტანე თამაშის ვიდეოჩანაწერი, რომელსაც დინამოელები ეცნობიან და სწავლობენ მომავალ მოწინააღმდეგეს.

ჩვენი მეტოქეები დიდად დაინტერესებული არიან თბილისის „დინამოს“ თამაშით. მის ზოგიერთ ფეხბურთელთა შესახებ ცნობები დაიბეჭდა „ინტერნაციონალეს“ კლუბის ყოველთვიურ სპეციალურ ჟურნალში. აქვე მიხდა გითხრათ, — თქვა ნ. ახალაძემ, — მართალია, როცა მწვრთნელმა ბერსელინიმ წელისყრის დროს გიგო, რომ მის გუნდს უეფას თასზე თბილისის „დინამოსთან“ მოუწევდა თამაში, თქვა: „მე არ ვიცნობ მოწინააღმდეგე გუნდს. ვიცი მხოლოდ ერთი — საბჭოთა ფეხბურთელები თამაშობენ სქემატურად და მარტივად“, მაგრამ შემდეგ „ინტერნაციონალეს“ კლუბის ხელმძღვანელები არათუ თბილისში ჩამოვიდნენ, არამედ შორეულ ალიანტეშიც კი დაიზარეს ჩასვლა, რათა დინამოელთა თამაში ენახათ ოთხთა ტურნირში და ვიდეოჩანაწერები გაეკეთებინათ. ასე, რომ ბატონ ბერსელინის ასლა სათანადო წარმოდგენა აქვს თავის მეტოქეებზე.

თბილისის „დინამო“ საფუძვლიანად ემზადება „ინტერნაციონალესთან“ თამაშისათვის. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ სსრ კავშირის პირველობაზე თბილისელებმა 12 აგვისტოდან 3 სექტემბრამდე, ე. ი. 21 დღეში ვვიდი მომქანცველი მატჩი ჩაატარეს, ამასთან ბილანში გამგზავრების წინ მეტად საპასუხისმგებლო შეხვედრა გვაქვს ბაქოში „ნეფტჩისთან“, რომელიც უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისათვის იბრძვის. ვფიქრობდით, რომ ფეხბურთის საკავშირო სამმართველო გათვალისწინებდა ყოველივე ამას და ჩემპიონატის კალენდარში მცირეოდენ ცვლილებას შეიტანდა, მაგრამ ეს არ მოხერხდა. ასე, რომ ევროპული რანგის თამაში ჩვენ განსაკუთრებულად მძიმე პირობებში გვიხდება. მაგრამ გუნდის თითოეული წევრი გამსჭვალულია დიდი პასუხისმგებლობით — არ შეარცხვინოს საბჭოთა სპორტის ღირსება.

დინამოელები თბილისიდან 11 სექტემბერს გაემგზავრებიან მოსკოვში. იქიდან კი 12 სექტემბერს მილანში გაფრინდებიან.

მსოფლიოს პირველობა ჭადრაკში

მ. ჩიბურდანიძის უპირატესობით

კრემლენდენტთა ნახევარფინალური

გუშინ მეოთხე პარტიაში თეორიები თამაშობდა ჩიბურდანიძე. ესპანურ პარტიაში იგი მტკიცედ დაეუფლა ინიციატივას. ახმელოვსკაიას პაიკის დათმობა მოუხდა. გადადებულ პარტიაში თბილისელი მატერიალურ და პოზიციურ უპირატესობას ინარჩუნებს. პარტია ასე წარიმართა:

ჩიბურდანიძე — ახმილოვსკაია

1. e4 e5 2. ∂f3 ∂c6 3. ♆b5 a6 4. ♆a4 ∂f6 5. 0-0 ♆e7 6. ⚀e1 b5 7. ♆b3 d6 8 c3 0-0 9. h3 h6 10. d4 ⚀e8 11. ∂bd2 ♆f8 12. ∂f1 ♆b7 13. ∂g3 ∂a5 14. ♆c2 ∂c4 15. b3 ∂b6 16. a4 ba 17. ba a5 18. ♆d3 g6 19. ♆a3 ∂fd7 20. ♆c2 ♆g7 21. d5 ♆f8 22. c4 ∂c5 23. ♆:c5 dc 24. ∂d2 ♆c8 25. ∂b3 ⚀d6 26. ∂e2 ♆d7 27. ∂c3 c6 28. ⚀ed1 cd 29. ∂:d5 ∂:d5 30. cd c4 31. ♆:c4 ♆fc8 32. ⚀e2 ⚀b4 33. ∂d2 h5 34. ⚀db1 ⚀c3 35. ♆b5 ♆:b5 36. ab ♆f8 37. ∂f3 ♆b4 38. ⚀d1 ⚀c7 39. ⚀c1 ⚀e7 40. ⚀c6 ⚀d8.

ამ მდგომარეობაში ჩიბურდანიძემ ჩაიწერა 41-ე სვლა. პარტია დღეს განახლდება.

გ. გამრეკელი.

ფ ე ხ ბ უ რ თ ი

დიდი ანგარიშით

პოლონელ ფეხბურთელებს მსოფლიო პირველობის თავიანთ შესარჩევ ჯგუფში ორი თამაში დარჩათ დასაბოლოებელი. ამიტომ გუშინ ვოლგოგრადში პოლონეთის ნაკრებმა მზადების მიზნით საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ამხანაგური მატჩი გამართა.

ბურთები გაიტანეს ბურიაკმა, ჩესნოკოვმა და ბლოხინმა (ორი). პოლონელთაგან ლიატომ. მატჩი დამთავრდა ჩვენი ნაკრების გამარჯვებით — 4:1.

საბჭოთა კავშირის ნაკრები ხუთი შემადგენლობით თამაშობდა: პოლგუი, კონკოვი, გოლუბევი, მახვიკოვი (ყუბიკოვი), ბუბნოვი, პრიგოდა, ბურიაკი, ჩესნოკოვი (ჩელებაძე), ბესონოვი (მინაევი), ვერემეევი, ბლოხინი.

ძნელი მატჩი

პოლონეთის ქალაქ კონინში გაიმართა სვერთამორისო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებს შორის. შეხვედრა დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:0.

ამ შეხვედრაში უპირატესობა პოლონელი ფეხბურთელების მხარეზე იყო. ვავროვსკი, ბულზაკი, ოგაზა, კუსტო და კვიატკოვსკი პოლონეთის პირველ ეროვნულ ნაკრებში თამაშობდნენ.

საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: ნოვიკოვი (ცსკა), კრიანჩო (ხარკოვის „მეტალისტი“), ბალტაჩა და სოპკო (ორივე კიევის „დინამო“), ილინი (მოსკოვის „ლოკომოტივი“), ბალი (ლვოვის „კარპატი“), ხარკოვი (მოსკოვის „ლოკომოტივი“), საკიანი (ერევნის „არარატი“), მიხალკევიჩი (ცსკა), გლუშაკოვი (მოსკოვის „სპარტაკი“), ხაულევიჩი (ლვოვის „კარპატი“), შენგელია (თბილისის „დინამო“).

რედაქტორი
დ. მგელიშვილი.

ა. ნიკოლაიშვილი

ქართულმა საბჭოთა არქიტექტურამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის საპატიო წევრი, მხცოვანი ხუროთმოძღვარი ალექსანდრე მინას ძე ნიკოლაიშვილი.

ა. ნიკოლაიშვილი დაიბადა 1898 წელს ქ. ფოთში ხელოსნის ოჯახში. 1916 წელს დაამთავრა ფოთის ვაჟთა გიმნაზია და ამავე გიმნაზიაში ხატვისა და სუფთა წერის მასწავლებლად დატოვეს. მხოლოდ 1918 წელს მიეცა საშუალება სწავლა განეგრძო თბილისის უნივერსიტეტსა და ფერწერისა და ძერწვის სასწავლებელში. 1920 წელს ახლობლების დახმარებით მიემგზავრება გერმანიაში და სწავლას იწყებს შარლოტენბურგ-ბერლინის უმაღლეს ტექნიკურ სკოლაში სამშენებლო ფაკულტეტის არქიტექტურულ განყოფილებაზე.

ქართული არქიტექტურის ისტორიისათვის მნიშვნელოვანია მისი პროექტებით აგებული ობიექტები — სპეციალისტების საცხოვრებელი სახლების კომპლექსი (1930 წ.) და ჩაის საწონი ფაბრიკა (1938 წ.) — თბილისში, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი — დიღომში (1954 წ.) და სხვ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ა. ნიკოლაიშვილის პედაგოგიური მოღვაწეობა. სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე უანგაროდ გადასცემდა იგი ქალაქმშენებლობის დარგში თავის მრავალმხრივ, ღრმა ცოდნას მომავალ ხუროთმოძღვრებს, როგორც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ლექტორი და სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე თბილისის სამხატვრო აკადემიაში. ა. ნიკოლაიშვილი ახალგაზრდობისთვის, თავის კოლეგებისათვის სხვა მხრივაც იყო სამაგალითო. იგი ყოველთვის ზედმიწევნით ტაქტიანი, თავმეკავებული, უყურადღებიანი იყო, გამოჩენილი ჭეშმარიტი ინტელიგენტის თვისებებით.

ა. ნიკოლაიშვილი საქართველოს არქიტექტორთა კავშირის დაარსებიდან მისი აქტიური წევრი, საკავშირო არქიტექტორთა ... ...